603 ~ 11152

17

შენ ხარ სპორტი და შენ ხარ მშვიდობა! შენ აახლოებ ადამიანებს, თესავ სიკეთის თესლსა და მერე თავადვე იმკი საკუთარი სიკეთის ნაყოფს. შენ შთააგონებ ახალგაზრდობას, რომ პატივი სცენ საკუთარ თავს და მშობლიურ მიწას და შენ ასწავლი ადამიანებს, რომ ერთადერთი სამართლიანი ბრძოლა—ეს არის. ბრძოლა საქვეყნო მშვიდობისათვის.

პიერ დე კუბერტენი — „ოდა სპორტს!" (ა. ნაცვლიშვილის თარგმანი)

ლელო

I–VI

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

11 იანვარი, შაბათი, 1992 წ.
№ 1 (10 659) ● ფასი 30 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

NEWSPAPER 'LELO'
CHIEF EDITOR
TBILISI

„ლელოს" რედაქციას ახალ, 1992 წელს ულოცავენ ფიფას პრეზიდენტი ჟოაო ავალანჟი, გენერალური მდივანი იოზეფ ბლატერი.



The Fédération Internationale de Football Association
send their Season's Greetings
and Best Wishes for a Happy New Year

The President

The General Secretary

FÉDÉRATION INTERNATIONALE DE FOOTBALL ASSOCIATION

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროში

სამინისტროს კოლეგიის 21 დეკემბრის სხდომის დღის წესრიგში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სრულიად საქართველოს 1991 წლის სპორტული თამაშების შედეგების შეჯამების საკითხი. ქართული სპორტის კომპლექსური სპორტული ღონისძიებების ისტორიის ახალი თავფურცელი, ფაქტობრივად, სიოკ-ისა და სამინისტროს მიერ ერთობლივად ჩატარებული ამ ასპარეზობით ჩაიწერა. პირველი თამაშები, მიზეზთა და მიზეზთა გამო, ცხადია, არ ყოფილა დაზღვეული ნაკლოვანებებისაგან, მაგრამ ყოველივე ეს უმნიშვნელოდ მოჩანს იმ ფონზე, რომელიც ღრმა შინაარსით დატვირთულ ამ კომპლექსურ შეჯიბრებას ჰქონდა.

კოლეგიაზე ითქვა, რომ თამაშებმა მკაფიოდ წარმოაჩინა, თუ რა ვითარებაა სპორტის ცალკეულ სახეობებში, რესპუბლიკის რეგიონებში, რასთან გვაქვს საქმე სამომავლოდ, რა მიმართულებით უნდა გაძლიერდეს ორგანიზატორული მუშაობა, გამოიკვეთა სპორტული ფედერაციების უახლოესი და პერსპექტიული ამოცანები. კოლეგიამ ამ საკითხთან დაკავშირებით მიიღო ვრცელი დადგენილება, რომელშიც თამაშების შედეგების ღრმა ანალიზისა და შეფასებების გარდა, მომავალში ამ ასპარეზობის უკეთ ჩატარების გზებიცაა დასახული.

თბილისის ტურისტული სააგენტო საკმაოდ სოლიდური ორგანიზაციაა. სამწუხაროდ, იგი ამოცანას ყოველთვის როდი ართმევდა თავს, რა მდგომარეობაა ამჟამად? სამინისტრომ შეისწავლა 1990 წლის 1 იანვრიდან 1991 წლის 1 ნოემბრამდე სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობა და უხეში დარღვევები კვლავ გამოვლინდა, მათ შორის საფინანსო. კოლექტივში არ არის ჯანსაღი ურთიერთობა თანამშრომელთა შორის, არავითარი ღონისძიებები არ გაუტარებიათ წინა პერიოდის შემოწმებით გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

კოლეგიის გადაწყვეტილებით, გადახალისდება სააგენტოს ხელმძღვანელობა და დაისახება მუშაობის რადიკალურად გარდაქმნის გზები. ეს საკითხი კოლეგიამ მინისტრის მოადგილეს ო. ხიამაშვილს მიანდო.

მეურნეობის ახლებურად გაძღოლის პირობებში აღრიცხვა-ანგარიშგების სწორ ორგანიზაციაზე დიდად არის დამოკიდებული ამა თუ იმ დარგის წარმატება. სისტემაში ამ მიმართებით მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების გზებზე საგანგებოდ იმსჯელა კოლეგიამ. თუ რა დიდი როლი ეკისრება გამართულ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, ნათლად გამოჩნდა, როცა სხდომამ მომდევნო საკითხად, 1991 წლის 9 თვის შედეგების მიხედვით, სისტემის ცალკეული საწარმოებისა და ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობა განიხილა.

ორივე საკითხზე მიღებულია დადგენილება, ვითარება რეალურად არის შეფასებული და დასახულია საქმიანობის უკეთ წარმართვის მიმართულება.

კოლეგიამ ადგილებზე სპორტისა და ტურიზმის განყოფილების გამგეებად დაამტკიცა: ქ. რუსთავში — ვიტალი ონიანი, ლაგოდეხის რაიონში — ნიკოლოზ თანდაშვილი, დუშეთის რაიონში — გია გოგოლაური, ვანის რაიონში — გიზო ტრაპაიძე, სენაკის რაიონში — ალეკო მურღულია, ხაშურის რაიონში — ოთარ შერაზადიშვილი.

● **თბილისის** ტრაგიკული დღეების შედეგების სალიკვიდაციოდ მთელი რესპუბლიკა ირაზმება. საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტროში გაიმართა ოპერატიული თათბირი, შეიქმნა რაზმები, ასოციაცია „ინტერდიზაინმშენის", სააქციო საზოგადოება „ინტურისტკამარას" საწარმოო გაერთიანება „სპეცდიზაინმონტაჟმშენის" და სხვა ორგანიზაციების მუშაკებისაგან შედგა სამუშაო ჯგუფები. ისინი ახლა მზად არიან სამთავრობო კომისიის პირველ დაძახილზევე შეუდგნენ თბილისში რუსთაველის გამზირის გაწმენდასა და აღდგენის სამუშაოებს.

● **ფიზკულტურის** სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტთა და პედაგოგთა ჯგუფები სახელოვნად მუშაობდნენ სომხეთში მიწისძვრით დანგრეული ქალაქების აღდგენაზე, თავი გამოიჩინეს რაჭაში მომხდარი მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციაშიც. ინსტიტუტელები ახლაც მზად არიან. აქ უკვე დაკომპლექტდა ჯგუფები, რომლებიც რუსთაველის გამზირის აღდგენით სამუშაოებში მიიღებენ მონაწილეობას.

● **თბილისის** ტრაგიკული ამბების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებს საქართველოს რაგბის რესპუბლიკური ფედერაცია აცნობებს, რომ სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ვარკეთილის სასწავლო-საწვრთნელ ცენტრში შესაძლებელია ათი ოჯახის დაკმაყოფილება დროებითი საცხოვრებელი ბინით.

მსურველებმა მიაკითხონ აღნიშნულ მისამართზე.

კავშირი დაირღვა— ურთიერთობა დარჩა

ბარსელონის ოლიმპიადისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა სეულის ოლიმპიადის ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სპორტსმენთა ლვოვში გამართულ ფინალურ შეჯიბრებაზე პნევმატური პისტოლეტით სროლაში თბილისელმა დამსახურებულმა ოსტატმა უკან ჩამოიტოვა ნაკრების ყველა კანდიდატი, მათ შორის მთავარი მეტოქენი როსტოველი მ. ლაგვინენკო, მოსკოველი ე. სმირნოვა და 385 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. მას აჯობა მხოლოდ მანამდე უცნობმა ე. ბელიაევამ, რომელმაც 387 ქულა მოაგროვა.

დეკემბრის დამლევს ჩებოქსარში, ჩუვაშეთის რესპუბლიკის ღია ჩემპიონატზე, ყოფილი საბჭოთა კავშირის მშვილდოსნობის ცენტრების თითქმის ყველა საუკეთესო წარმომადგენელი და უცხოელი სტუმარი მიიწვიეს. საქართველოდან ასპარეზობაში რამდენიმე ოსტატი ჩაება. მათ შორის არ იყო მხოლოდ გუნდის ლიდერი ნატო ნასარიძე, იგი თურქეთში იმყოფებოდა იქაურ მშვილდოსნებთან ერთობლივ წვრთნაზე.

ჩებოქსარის ჩემპიონატზე კარგად იასპარეზა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ხათუნა ქვრივიშვილმა — „ფიტას" დიდი წრის" ფინალში 319 ქულა მოაგროვა და მხოლოდ ქულით ჩამორჩა ბაშკირეთის ქალაქ სტერლიტამაკელ როზა იამანსუროვას. მეორე თბილისელმა რეგინა მჟავანაძემ მხოლოდ დამატებითი სერიის შემდეგ დათმო III ადგილი და 317 ქულით IV ადგილი ხვდა. ჩვენი ვაჟებიდან საუკეთესო იყო სერგო გათიკაევი — VI ადგილი.

მეკვლე

სურათზე: XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გუნდურ პირველობაში მედეა ჯუღელი.

ძველი პლეადის ტანმოვარჯიშე ქალებისთვის ეს ფოტოსურათი ძვირფასია იმიტომ, რომ პირველ ოლიმპიურ წარმატებას ახსენებს. ამ გუნდმა (მედეა ჯუღელი, გალინა გოროხოვსკაია, გალინა მინაიჩევა-შარაბიძე, ნინა ბოჩაროვა, გალინა ურბანოვიჩი, გალინა შამრაი, პელაგია დანილოვა, ეკატერინა კალინჩუკი) 1952 წელს ჰელსინკში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი დაიმსახურა. სწორედ ამიტომ, პირველი ოლიმპიური ჩემპიონის სახელს ტანვარჯიშში სხვებთან ერთად ჩვენი სახელოვანი თანამემამულე მედეა (მზია) ჯუღელიც ატარებს (დაიბადა 1925 წ. 1 აგვისტოს, ქუთაისში).

მისთვის XV ოლიმპიადა სპორტული ოსტატობის მწვერვალი იყო. აი, ტანვარჯიშის დიდოსტატის სახელ

იხ. მე. 2 გვ.

საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობა და გაზეთ „ლელოს" რედაქცია სამძიმარს უცხადებენ თბილისში დატრიალებული ტრაგედიის დროს დაღუპულთა ოჯახებს.

სამარანჩი მოსკოვში ჩავა

გასულ ოთხშაბათს სოკ-ის პრეზიდენტმა ხ. სამარანჩმა განაცხადა, რომ ალბერვილსა და ბარსელონაში ყოფილი სსრკ წარმოდგენილი იქნება გაერთიანებული გუნდით. 18 იანვარს სამარანჩი მოსკოვს ეწვევა ამ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად.

ფალავანი არ გამოვლინდა

თბილისის სპორტის სასახლეში ნაცვლად ორისა, მხოლოდ ერთ დღეს, 1991 წლის 21 დეკემბერს, ჩატარდა საქართველოს აბსოლუტური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. მეორე დღეს დაგეგმილი ფინალური შეხვედრები არ გამართულა და არც საქართველოს 1991 წლის ფალავანი გამოვლენილა თბილისში შექმნილი დაძაბული ვითარების გამო.

რას ტურისტებს დააინტერესებთ...

● ტალინის საზღვაო პორტში უამრავი უცხო მარკის ავტომანქანაა თავმოყრილი. საქმე ისაა, რომ ესტონეთის ხელისუფლებამ აკრძალა რესპუბლიკაში 10 წელს გადაცილებული ავტომანქანების შემოტანა. როგორც ამბობენ, პორტში თავმოყრილ ძველ მანქანებს შეიძლება ზღვაში გადაუძახონ.

● ერთ თვეზე მეტია, ესტონეთის საზღვარზე შემოღებულია საპასპორტო კონტროლი.

● **რუმინეთში** წამსვლელთათვის ვიზა საჭირო აღარ არის, აუცილებელია მხოლოდ უცხოეთის პასპორტი.

● **ბენზინი** და დიზელის საწვავი ლატვიის ტერიტორიაზე თავისუფალ ფასებში იყიდება. ჯერჯერობით ლიტრი ბენზინის ფასი 2-3 მანეთია.

● **საბერძნეთმა** გადაწყვიტა „ტურისტული სარგებლობისათვის" უცხოელებს ხანგრძლივი იჯარით გადასცეს . რამდენიმე პატარა კუნძული.

● **ნებისმიერ** საქონელს, რომელიც ე. წ. საბჭოთა საზღვარზე მებაჟეებმა არ ჩამოართვეს ტურისტს, პოლონეთში „მწვანე გზა" აქვს გახსნილი.

პოლონეთის ხელისუფლება მოქალაქეს უფლებას აძლევს ქვეყანაში 200 დოლარის საფასურის საქონელი საბაჟო გადასახადის გარეშე შეიტანოს.

● **რუსეთის** ფედერაციაში ერთი ამერიკული დოლარის ღირებულება 8 იანვრისთვის 110 მანეთი იყო.

◆

ინფორმაცია

● **40 წლის** შემდეგ ლატვია, ლიტვა და ესტონეთი კვლავ გახდნენ სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიბა) წევრები. თუ ეს ქვეყნები მონაწილეობას მიიღებენ 1992 წლის ოლიმპიურ თამაშებში, შესარჩევ ტურნირში გამოსვლის განაცხადი 1992 წლის 19 იანვრამდე უნდა წარადგინონ.

● **60-ზე** მეტმა ორგანიზაციამ დააფუძნა უნიკალური საქმიანი წარმოება — სპორტ-ბირჟა მოსკოვში. ბირჟის მიზანია სპორტული მრეწველობის სტიმულირება, ყველა დონის სპორტსმენთა დაზღვევა, ადამიანთა აქტიური დასვენების ორგანიზება.

მეკვლე

(დასასრული)

გაცილებით ადრე დაიმკვიდრა, ჯერ კიდევ 1946 წლის სსრკ-ის ჩემპიონატზე, როცა ოქროს მედალი მოიპოვა ბჯენით ხტომებში. საერთოდ კი, მედეა ჯუღელი ამ სახეობაში შვიდჯერ იყო უძლიერესი. ჩემპიონი იყო, აგრეთვე, რგოლებზე ვარჯიშში (ადრე ამ იარაღზე ქალებიც გამოდიოდნენ).

პირველ წარმატებას საერთაშორისო სარბიელზე 1951 წელს მიაღწია, როცა სტუდენტთა XI ბერლინის საერთაშორისო თამაშების ჩემპიონი გახდა გუნდურ ჩათვლაში და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა ბჯენით ხტომებში. ჰელსინკის ოლიმპიადის შემდეგ მან ანალოგიურ წარმატებას მიაღწია (გუნდური პირველი ადგილი და ვერცხლის ჯილდო ბჯენით ხტომებში) ახალგაზრდობის I საერთაშორისო მეგობრულ თამაშებზეც (ბუქარესტი, 1953 წ.). ამავე დროს, იგი ბევრი საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილე იყო.

ჰელსინკის სარბიელზე მრავალჭიდში მედეა ჯუღელს მეცხრე შედეგი ჰქონდა — 74,95 ქულა, ხოლო ბჯენით ხტომებში IV — 19,13. როგორც ზემოთ ვთქვით, მან ნაკრების სხვა წევრებთან ერთად ოქროს მედალი დაიმსახურა გუნდური გამარჯვებისთვის. და ბოლოს, საგნით ვარჯიშში (ასეთი შეჯიბრებაც ჩატარდა ჰელსინკის XV ოლიმპიურ თამაშებზე) თანაგუნდელებთან ერთად II ადგილი დაიკავა. პირველი ადგილი ამ სახეობაში ხვდა შვეციის ნაკრებს — 74,20 ქულა, მეორე — სსრ კავშირის გუნდს — 73 ქულა.

სიახლენი ფეხბურთის წესებში

საერთაშორისო საფეხბურთო წესებში ბოლო ხანებში საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. თანამედროვე ფეხბურთი გარკვეული პროგრესის გზით მიემართება: რთულდება სათამაშო ტაქტიკა, იხვეწება სამოქმედო სქემები, მოთამაშეთა ურთიერთმოქმედება. შესაბამისად ცვლილებები ხდება უშუალოდ თამაშის წესებშიც.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მესვეურები ბოლო დროს ბევრს ზრუნავენ საიმისოდ, რომ თამაში სანახაობრივად უფრო მიმზიდველი გახდეს, ეძებენ ახალ გზებს მაყურებელთა კიდევ უფრო დასაინტერესებლად. ფეხბურთში ბევრი სიახლე დამკვიდრდა, ზოგიერთი წესი შეიცვალა. ამჟამად მიმდინარეობს ექსპერიმენტები, რომელთა მიზანია „თამაშგარე მდგომარეობის" წესის მოდერნიზაცია. არის წინადადებები, რომ შეიცვალოს საფეხბურთო კარების ზომები, კერძოდ, გაიზარდოს მისი ფართი, შემცირდეს თამაშში მონაწილე ფეხბურთელთა რაოდენობა და ა. შ.

ამასთან დაკავშირებით ჩვენმა რედაქციამ სთხოვა საერთაშორისო კატეგორიის არბიტრს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარეს კარლო ყრუაშვილს თავისი მოსაზრებები გაეზიარებინა „ლელოს" მკითხველთათვის ფეხბურთის წესებში მომხდარი ცვლილებების შესახებ. გთავაზობთ მის საუბარს:

— ერთ-ერთი ახალი წესი, რომელიც უკვე დაინერგა საერთაშორისო საფეხბურთო პრაქტიკაში, ასეთია: თუ მოთამაშე ბურთიანად მიუახლოვდა მეტოქის კარს და შექმნა გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობა, მაგრამ მეტოქე გუნდის ფეხბურთელმა ამ დროს იგი აკრძალული ილეთით შეაფერხა, მსაჯი, გარდა იმისა, რომ დანიშნავს საჯარიმო, თავისუფალ ან თერთმეტმეტრიან დარტყმას (იმის შესაბამისად, თუ რა ადგილას მოხდა დარღვევა), ვალდებულია წესის დამრღვევი მოთამაშე გააძევოს მინდვრიდან. დამნაშავის ამგვარი საქციელი განისაზღვრება, როგორც თამაშის წესების სერიოზული დარღვევა.

თუ საკუთარ საჯარიმო მოედანზე მყოფმა მინდვრის მოთამაშემ განზრახ ხელით მოიგერია ან დაიჭირა ბურთი, რითაც მეტოქე გუნდს მოუსპო გოლის გატანის ხელსაყრელი შესაძლებლობა, იგი ასევე უნდა დააჯარიმონ და გააძევონ მინდვრიდან. პრინციპი ამ შემთხვევაშიც ანალოგიურია: დამნაშავე ფეხბურთელმა სერიოზულად დაარღვია წესი და მეტოქეს დაუკარგა ბურთის გატანის ნაღდი შესაძლებლობა. არაერთხელ გვინახავს ეპიზოდი, როცა მინდვრის მოთამაშეს გარკვეულ სიტუაციაში მეკარის ადგილი დაუკავებია, ხელით მოუგერიებია ან აუღია ბურთი და გადაურჩენია გუნდი. ასეთ შემთხვევაში წესებით გათვალისწინებული იყო 11-მეტრიანი. ახლა კი, როგორც ხედავთ, სასჯელი გამკაცრდა.

ცვლილებები მოხდა მეკარის თამაშის წესებშიც. როცა მეკარე ბურთს ხელში აიღებს, მას უფლება აქვს გააკეთოს მაქსიმუმ ოთხი ნაბიჯი და შემდეგ აუცილებლად შეიყვანოს ბურთი თამაშში, ან დააგდოს მიწაზე და შემდეგ მხოლოდ ფეხით განაგრძოს თამაში. თუ მეკარემ განზრახ დააგდო ბურთი მიწაზე და შემდეგ კვლავ ხელით შეეხო მას, სანამ მისი თანაგუნდელი ითამაშებს საჯარიმო მოედნის ფარგლებს გარეთ, ან მოწინააღმდეგე ფეხბურთელი საჯარიმო მოედანში ან, გნებავთ, მის ფარგლებს გარეთ, მაშინ მეკარე დაისჯება თავისუფალი დარტყმით.

მაგრამ, ახალი წესების შესაბამისად, გამონაკლისიც დაიშვება, კერძოდ — როცა მეკარეს ბურთი შემთხვევით მოხვდება ხელზე, ან იგი ხელებით დაიცავს სახეს ძლიერად დარტყმული ბურთის მოსაგერიებლად. ამ შემთხვევაში მას უფლება აქვს ჩვეულებრივ განაგრძოს თამაში.

შევეცდები განვმარტო ნათქვამი: ვთქვათ, თავდამსხმელმა ძლიერად დაარტყა კარში და მეკარემ ნახტომში მოიგერია „ძნელი ბურთი". აქ მას უფლება აქვს ხელმეორედ ჩაებას თამაშში და კვლავ ხელით აიღოს ან მოიგერიოს ბურთი. ეს მას შეცდომად აღარ ეთვლება. ანდა: მეტოქემ საჯარიმო მოედანზე მაღალი ტრაექტორიით ჩამოაწოდა ბურთი. მეკარეს შეუძლია ხელით მოიგერიოს იგი და კვლავ განაგრძოს თამაში. მას ასევე უფლება აქვს ფეხებში ჩაუხტეს გარღვევაზე გასულ მეტოქეს, ხელებით მოიგერიოს ბურთი და კვლავ ხელითვე ითამაშოს. სხვა შემთხვევებში მეკარე ვალდებულია იმოქმედოს ზუსტად „ოთხი ნაბიჯის" წესის შესაბამისად და შეიყვანოს ბურთი თამაშში. მსაჯმა თვითონ უნდა განსაზღვროს მომენტის სირთულე და მეკარის სათამაშო მდგომარეობა.

თუ მეკარე შეეცადა თამაშის დროის გაჭიანურებას სხვადასხვა ტაქტიკური ხრიკების საშუალებით და მსაჯი დარწმუნებულია, რომ ეს მოხდა დროის გაყვანის მიზნით, იგი ვალდებულია მეკარე დასაჯოს თავისუფალი დარტყმით.

წესების საერთაშორისო საბჭო ავალდებულებს მსაჯებს, მეტი ყურადღება და პრინციპულობა გამოიჩინონ, როცა თამაში შეწყდება სხვადასხვა მიზეზის გამო და შეძლონ ამ გაცდენილი დროის ანაზღაურება. ვგულისხმობთ მოთამაშეთა შეცვლისას ან დაშავებულ ფეხბურთელისთვის საექიმო დახმარებისას დახარჯულ დროს და ა. შ.

წესების საერთაშორისო საბჭომ გადაწყვიტა ნება დართოს ფეხბურთელებს სათამაშო ტრუსების ქვეშ ჩაიცვან ველოტრუსის ტიპის დამცავი ნაქსოვი ტრუსები, მაგრამ ველოტრუსი არ უნდა განსხვავდებოდეს ფორმის ფერისაგან და სიგრძითაც არ უნდა ჩამოდიოდეს მუხლებამდე. გარდა ამისა, მეკარეებს ნება დართეს უამინდობის შემთხვევაში, ან როცა მინდვრის საფარი არადამაკმაყოფილებელია, ჩაიცვან სპორტული კოსტიუმის შარვალი.

თამაშის წესების ეს ცვლილებანი უკვე ძალაშია. როგორც ხედავთ, განსაკუთრებით გამკაცრდა ბრძოლა ე. წ. „პროფესიული ფოლის" წინააღმდეგ. არ შეიძლება აკრძალული ილეთით შემტევ გუნდს დაუკარგო ბურთის გატანის აშკარა შესაძლებლობა, შესაბამისი ტექნიკური სასჯელის გარდა (11-მეტრიანი, საჯარიმო), დამნაშავე ფეხბურთელი უნდა გააძევონ მინდვრიდან. მსაჯმა ძალზე ზუსტად უნდა გაარკვიოს, რა შემთხვევებში და რა განზრახვით ითამაშა ხელით ორჯერ ზედიზედ მეკარემ. გაუქმდა ძველი წესი, როცა მეკარე ხელში აიღებდა ბურთს, შემდეგ გააგორებდა მიწაზე და ფეხით გაიგდებდა წინ, მერე კი კვლავ ხელში აიღებდა მას. მეკარე მხოლოდ ერთხელ უნდა შეეხოს ბურთს ხელით და შემდეგ დაუყოვნებლივ შეიყვანოს იგი თამაშში, მაგრამ, თუ მან ნახტომში მოიგერია ბურთი, რომლის ხელში აღება შეუძლებელი იყო, ამ შემთხვევაში ნებადართულია ბურთის კვლავ ხელით დაუფლება. ბურთის პირველი მოგერიება ძნელ ნახტომში იძულებითია და დროის გაყვანის საშუალებად არ ითვლება.

* * *

რა თქმა უნდა, მკითხველს ექნება სადავო გაურკვეველი საკითხები. მოგვმართეთ „ლელოს" რედაქციაში. საჭირო ახსნა-განმარტებას მოგაწვდით გაზეთის საშუალებით.

საფეხბურთო კოდექსის ევოლუცია

პირველი საფეხბურთო კოდექსი 1580 წელს დაიწერა ფლორენციაში, შემდეგ წესები რამდენჯერმე გამოქვეყნდა ინგლისში, 1873 წელს კი დადგინდა თამაშის ის წესი, რომ არც ერთ ფეხბურთელს უფლება არ ჰქონდა ხელით დაეჭირა ან ეტარებინა ბურთი. მეკარეს ეს უფლება მოგვიანებით მიეცა.

საინტერესოა თვალი გავადევნოთ საფეხბურთო კოდექსის ევოლუციას საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე.

● **1866 წ.** პირველად კარის ორი ძელის თავზე გაჭიმეს თოკი, რომელიც ზუსტად განსაზღვრავდა კარის სიმაღლეს.

● **1871 წ.** თამაშის დრო განისაზღვრა 90 წუთით. მეკარეს უფლება მიეცა ხელით ეთამაშა კარის მოედნის ფარგლებში.

● **1873 წ.** დაწესდა გვერდითი ხაზის გარედან ბურთის ხელით შემოგდება და კუთხური დარტყმა.

● **1874 წ.** დადგინდა დარღვევები, რისთვისაც ინიშნება თავისუფალი დარტყმა.

● **1875 წ.** ძელებს შუა გაჭიმული თოკი შეიცვალა მყარად დამაგრებული ხის ძელით.

● **1878 წ.** მსაჯი პირველად შემოვიდა მინდორზე. მანამდე მას უფლება ჰქონდა ემოძრავა მხოლოდ მინდვრის ფარგლებს გარეთ და სადავო მომენტებში ჩარეულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მას საამისოდ მიმართავდნენ. მსაჯის ხელში პირველად გაჩნდა სასტვენი, მანამდე კი იგი დარღვევებს აღნიშნავდა შეძახილებით ან ზარით.

● **1883 წ.** თამაშის დრო დაიყო ორ ნახევრად; შესვენების შემდეგ გუნდები მხარეებს იცვლიან.

● **1887 წ.** დაზუსტდა „თამაშგარე მდგომარეობის" წესი. ახალი რედაქციით, „თამაშგარე მდგომარეობა" არ შეიძლებოდა ყოფილიყო კუთხური დარტყმისას, კარიდან თავისუფალი დარტყმისას ან იმ შემთხვევებში, როცა ბურთს უკანასკნელად შეეხო მეტოქე გუნდის მოთამაშე.

● **1889 წ.** დაწესდა სასჯელი მსაჯის შეურაცხყოფის, გინებისა და ხმამაღალი ყვირილისთვის.

● **1891 წ.** კარზე ჩამოჰკიდეს ბადე; დააწესეს 11-მეტრიანი დარტყმა; არბიტრს დაახმარეს ორი თანაშემწე — გვერდითი მსაჯები.

● **1900 წ.** დაადგინეს, რომ არბიტრის გადაწყვეტილება საბოლოოა. არავის, არბიტრისა და მისი თანაშემწეების გარდა, უფლება არა აქვს შევიდეს მინდორზე.

● **1902 წ.** მეკარეს უფლება მიეცა ხელით ეთამაშა მთელი საჯარიმო მოედნის ფარგლებში.

● **1905 წ.** მეკარეს აეკრძალა 11-მეტრიანი დარტყმისას არა მარტო წინ გამოსვლა დარტყმის შესრულებამდე, არამედ გადაადგილება კარის ხაზზეც.

● **1909 წ.** მეკარის ჩაცმულობა ფერით უნდა განსხვავდებოდეს ორივე გუნდის მოთამაშეთა ფორმის ფერისგან.

● **1913 წ.** საჯარიმო და თავისუფალი დარტყმებისას მეტოქე გუნდის ფეხბურთელები ბურთთან არ უნდა იმყოფებოდნენ 9 მეტრზე ახლოს.

● **1924 წ.** უშუალოდ კუთხურიდან გატანილი ბურთი გოლად ითვლება.

● **1925 წ.** ფეხბურთელი „თამაშგარე მდგომარეობაში" ითვლება, თუ მასსა და კარის ხაზს შორის იმყოფება მეტოქის ორ ფეხბურთელზე ნაკლები. მანამდე ეს წესი ვრცელდებოდა სამ მეტოქეზე.

● **1939 წ.** შემოიღეს ნომრები მოთამაშეთა მაისურებზე.

● **1966 წ.** დაწესდა 4 ნაბიჯის წესი მეკარისთვის.

● **1972 წ.** შემოიღეს მოთამაშეთა შეცვლის წესი: ოფიციალურ მატჩებში ნებადართულია ორი ფეხბურთელის შეცვლა, ამ რიცხვში შედის მეკარეც; საჭიროების შემთხვევაში გამარჯვებულის გამოსავლენად დაინიშნა დამატებითი 11-მეტრიანების სერია.

● **1978 წ.** შეიცვალა მითითებანი, რომლებიც დაკავშირებულია 11-მეტრიანი დარტყმის დროს მომხდარ დარღვევებთან.

გულიტი გაოცებულია

ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი რუუდ გულიტი ამას წინათ მწვავე კრიტიკით გამოვიდა ფიფა-ს სპეციალური კომისიის წინააღმდეგ, რომელსაც დავალებული აქვს ფეხბურთის ახალი წესების შემუშავება. რ. გულიტის აზრით, ზოგიერთი ახალი პუნქტი სრულიად აბსურდული და ალოგიკურია:

„გამაგებინეთ, ეს რაღას ნიშნავს, რომ მინდვრის მოთამაშეს უფლება არა აქვს უკან მიაწოდოს მეკარეს ბურთი? მე დავესწარი იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს, სადაც ახალი წესი გამოსცადეს. საფეხბურთო ზეიმი იქ არარაობად იქცა: ყველა გუნდი ცდილობდა ღრმა დაცვაში ემოქმედა და მხოლოდ კარის უხიფათობაზე ეზრუნა, გოლის გაშვების პანიკურმა შიშმა ყველანი შებორკა. თუ ახალი წესები დაწესდა, მე, ალბათ, თავს დავანებებ ფეხბურთს, თუმცა, ჩემი აზრით, ეს უკვე ფეხბურთი აღარ იქნება".

ჯერ მხოლოდ ექსპერიმენტებია...

ამას წინათ გაზეთებში გამოქვეყნდა საკდესის ცნობა იმის თაობაზე, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟოაო ავილანჟმა განაცხადა: „მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზე მინდვრის მოთამაშეებს აეკრძალებათ ბურთის გადაცემა უკან თავიანთი მეკარისთვის, რაც მიზნად ისახავს სათამაშო დროის გაჭიანურებას".

ამასთან დაკავშირებით, ფიფას ვიცე-პრეზიდენტმა ვ. კოლოსკოვმა კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

„ამგვარი რამ ჟ. ავილანჟს არ უთქვამს და არც შეეძლო ეთქვა,ვინაიდან ფეხბურთის თამაშის წესებს იგი ვერ შეცვლის. საამისო უფლება აქვს მხოლოდ და მხოლოდ წესების საერთაშორისო საბჭოს. საქმე ისაა, რომ წინადადება მეკარისთვის ბურთის მიწოდების აკრძალვის თაობაზე მართლა არსებობს (ლაპარაკია იმაზე, თუ მეკარე ამ გადაცემისას ხელით ითამაშებს), მაგრამ ახალი წესის პრაქტიკულად დანერგვა ჯერჯერობით მხოლოდ ექსპერიმენტის პროცესშია, იგი გამოსცადეს 17 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე: თუ მინდვრის მოთამაშე მეკარეს მიაწვდიდა ბურთს და ეს უკანასკნელი ხელით ითამაშებდა, მსაჯები საჯარიმო დარტყმას ნიშნავდნენ. ჟ. ავილანჟმა ეს ექსპერიმენტი მოიწონა და სურვილი გამოთქვა, შემდგომში დაიხვეწოს ეს წესი. ამ მიზნით, ფიფა-ს წევრ ქვეყნებს შესთავაზა განაგრძონ საჭირო ძიებანი. მაგრამ ჯერჯერობით არც ერთ ფედერაციას არ გამოუთქვამს სურვილი, მონაწილეობა მიიღოს ექსპერიმენტში".

ასე რომ, თამაშის წესების პუნქტი „არც ერთი გადაცემა უკან" ჯერჯერობით ექსპერიმენტის ფაზაშია და მის დაკანონებაზე ლაპარაკი ადრეა.

წინააღმდეგნი არიან...

გერმანიის ბუნდესლიგაში მოთამაშე გუნდების ფეხბურთელებს მიმართეს შეკითხვით: ეთანხმებიან თუ არა ისინი საფეხბურთო კოდექსში ცვლილებების შეტანის იდეას?

გამოკითხულთა ორმა მესამედმა „თამაშგარე მდგომარეობის" წესების შეცვლის წინააღმდეგ მისცა ხმა.

1991 წლის სპორტული სეზონის ბოლო შეჯიბრებები

მხოლოდ ტექნიკური შედეგები

საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში. ქალები. ბოლო ტური. თბილისი. ბ. ეგნატაშვილის სახელობის სპორტული დარბაზი.

„მართვე“ (თბილისი) — ქუთაისი 72:58 (38:24).

„მართვე“: ქუთათელაძე (25), იოსელიანი (19), ჯანჯღავა (10), ცხადაია (10), კავთიაშვილი (2), გრიგალაშვილი (6), გვეხიძე, მაგრაქველიძე, უსანეთაშვილი

ქუთაისი: კაკაურიძე (6), ლომიძე (14), ბაძგარაძე (30), კობახიძე (5), ხელაძე (3), დათიაშვილი.

მსაჯები: თ. კაკაურიძე, გ. ოხიაშვილი.

ფიზკულტურის ინსტიტუტი — რუსთავი 88:25 (35:13).

ფიზკულტურის ინსტიტუტი: გაგლოშვილი (16), ომიაძე (21), კუპატაძე (25), მუჩიაშვილი (8), ადეიშვილი (5), ვაჭარაძე (4), ბუდნიკოვა (4).

რუსთავი: კობზევა (12), ყორყიკაშვილი (3), გამცემლიძე (8), ჩქოტუა (2), ბიჭაშვილი.

მსაჯები: გ. ოხიაშვილი, თ. კაკაურიძე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 78:61 (36:35);

სტუ: ცინცაძე, სირაძე (24), გოგლიჩიძე (2), ბუილლიშვილი (11), კურტანიძე (17), მ. მაისურაძე (13), ლ. მაისურაძე (11).

თსუ: კომლაძე (18), ქერდიყოშვილი (12), კუპრაშვილი (18), ჩეკურიშვილი (8), ჯიშკარიანი (5), ბალავაძე.

მსაჯები: რ. გელოვანი, ხ. მაღალაშვილი.

თსუ — ქუთაისი 78:58 (44:23).

თსუ: კომლაძე (2), ჩეკურიშვილი (10), ქერდიყოშვილი (6), კუპრაშვილი (19), ჯიშკარიანი (18), ნონიაშვილი (2), სერდიუკოვა (6), ბალავაძე. (10).

ქუთაისი: კაკაურიძე (6), ლომიძე (10), ბაძგარაძე (32), კობახიძე (5), ხელაძე.

მსაჯები: გ. ოხიაშვილი, თ. კაკაურიძე.

სტუ — რუსთავი 85:31 (44:24).

სტუ: ცინცაძე (8), სირაძე (6), ბუილლიშვილი (12), ჯულუხაძე (9), გოგლიჩიძე (22), ლოლიშვილი (8), ცანავა (20), აბრამიშვილი.

რუსთავი: კობზევა (18), მუნჯიშვილი (6), ყორყიკაშვილი (5), ჩქოტუა (2), ბიჭაშვილი, გულიკაშვილი.

მსაჯები: რ. გელოვანი, ა. როსტომაშვილი.

ფიზკულტურის ინსტიტუტი — „მართვე“ 80:78 (46:41).

ფიზკულტურის ინსტიტუტი: მუჩიაშვილი (9), მირიანაშვილი (14), ომიაძე (29), გაგლოშვილი (11), კუპატაძე (9), ვაჭარაძე (4), ადეიშვილი (4).

„მართვე“: ქუთათელაძე (18), იოსელიანი (20), ჯანჯღავა (32), ცხადაია (8), გრიგალაშვილი.

მსაჯები: ა. როსტომაშვილი, რ. გელოვანი.

ფიზკულტურის ინსტიტუტი: — თსუ 55:90 (26:48)

ფიზკულტურის ინსტიტუტი: ომიაძე (9), მუჩიაშვილი (5), კუპატაძე (21), გაგლოშვილი (2), მირიანაშვილი (12), ვაჭარაძე (6).

თსუ: კომლაძე (22), ქერდიყოშვილი (12), ჩეკურიშვილი (14), კუპრაშვილი (28), ჯიშკარიანი (10), ნონიაშვილი. (4).

მსაჯები: რ. ხომერიკი, ა. როსტომაშვილი.

სტუ — ქუთაისი 75:63 (37:19).

სტუ: ცინცაძე (3), გოგლიჩიძე (14), ჯულუხაძე (22), ლოლიშვილი (6), ლ. მაისურაძე (2), ცანავა (18), აბრამიშვილი (10), კურტანიძე.

ქუთაისი: კაკაურიძე (7), ლომიძე (22), ბაძგარაძე (34), დათიაშვილი, ხელაძე.

მსაჯები: რ. ხომერიკი, რ. გელოვანი.

„მართვე“ — რუსთავი 68:52 (43:21).

„მართვე“: ქუთათელაძე (28), იოსელიანი (17), ჯანჯღავა (6), ალლოძე (2), კავთიაშვილი (4), ცხადაია (7), მაგრაქველიძე (2), უსანეთაშვილი (2).

რუსთავი: კობზევა (23), მუნჯიშვილი (12), ყორყიკაშვილი (8), ბიჭაშვილი (2), გამცემლიძე (2), ჩქოტუა (5).

მსაჯები: გ. ოხიაშვილი, თ. კაკაურიძე.

ქუთაისი — ფიზკულტურის ინსტიტუტი 78:98 (48:50).

ქუთაისი: კაპანაძე (2), კაკაურიძე (11), ლომიძე (11), ბაძგარაძე (50), ხელაძე (4), დათიაშვილი.

ფიზკულტურის ინსტიტუტი: ომიაძე (14), მირიანაშვილი (39), კუპატაძე (16), ადეიშვილი (14), ვაჭარაძე (5), ვაკიანი (5), ბუდნიკოვა (5), გაგლოშვილი.

მსაჯები: რ. ხომერიკი, ა. როსტომაშვილი.

„მართვე“ — სტუ 63:69 (29:36).

„მართვე“: ქუთათელაძე (16), იოსელიანი (11), გრიგალაშვილი (7), ჯანჯღავა (5), ცხადაია (9), ვაჩეიშვილი (15).

სტუ: სირაძე (14), გოგლიჩიძე (4), ჯულუხაძე (4), ბუილლიშვილი (4), ლოლიშვილი (14), კურტანიძე (16), ლ. მაისურაძე (13).

მსაჯები: რ. გელოვანი, გ. ოხიაშვილი.

თსუ — რუსთავი 110:49 (48:30).

თსუ: კომლაძე (8), ქერდიყოშვილი (36), ჯიშკარიანი (22), კუპრაშვილი (24), ჩეკურიშვილი (6), სერდიუკოვა (10), ბალავაძე (4).

რუსთავი: კობზევა (20), მუნჯიშვილი (8), ყორყიკაშვილი (7), გამცემლიძე (6), ჩქოტუა (8), ბიჭაშვილი.

მსაჯები: თ. კაკაურიძე, გ. ოხიაშვილი.

რუსთავი — ქუთაისი 62:64 (35:30).

რუსთავი: კობზევა (22), მუნჯიშვილი (15), გამცემლიძე (6), ბიჭაშვილი (4), ჩქოტუა (2), ყორყიკაშვილი (13).

ქუთაისი: ბაძგარაძე (38), კაკაურიძე (8), ლომიძე (12), ხელაძე (6), დათიაშვილი.

მსაჯები: რ. ხომერიკი, თ. კაკაურიძე.

სტუ — ფიზკულტურის ინსტიტუტი 79:59 (39:22).

სტუ: ცინცაძე (5), სირაძე (12), ჯულუხაძე (4), გოგლიჩიძე (4), ლოლიშვილი (10), კურტანიძე (4), ბუილლიშვილი (18), ლ. მაისურაძე (8), მ. მაისურაძე (4), აბრამიშვილი (2), ცანავა (8).

ფიზკულტურის ინსტიტუტი: ომიაძე, გაგლოშვილი (18), მირიანაშვილი (3), მუჩიაშვილი (24), კუპატაძე (4), ადეიშვილი (8), ვაჭარაძე (2).

მსაჯები: რ. ხომერიკი, რ. გელოვანი.

„მართვე“ — თსუ 63:79 (38:42)

„მართვე“: ქუთათელაძე (36), იოსელიანი (7), ცხადაია (4), ვაჩეიშვილი (14), უსანეთაშვილი (2), გვეხიძე, კავთიაშვილი.

თსუ: კომლაძე (12), კუპრაშვილი (27), ქერდიყოშვილი (26), ჩეკურიშვილი (11), ჯიშკარიანი (3), სერდიუკოვა, ბალავაძე.

მსაჯები: რ. ხომერიკი, ა. როსტომაშვილი.

საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში. ვაჟები. VI ტური. თბილისი. ვერის ბაღის კალათბურთის სასახლე.

„მერანი“ (თბილისი) — „მართვე“ (თბილისი) 91:68 (45:26).

„მერანი“: ქორქია (10), ზ. ცაგარეიშვილი (35), ჯაფარიძე (5), დერიუგინი (8), ბერიძე (4), ობოლაძე (12), ტომარაძე (5), ბარბაქაძე (12).

„მართვე“: ბერძენიშვილი (29), ახალაძე (4), ქლენტი (8), ტეფნაძე (7), სტეფანია (4), ხოშტარია (3), დევიძე (3), პაპიძე (4), გიგაშვილი (1).

მსაჯები: რ. გელოვანი, ხ. მაღალაშვილი.

„დინამო“ (თბილისი) — საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი: 131:65 (73:34).

„დინამო“: ბარამიძე (12), ვაშაკიძე (14), სანაძე (12), თორთლაძე (18), შენგელია (15), დაუშვილი (16), ბაქრაძე (10), ფერიაშვილი (22), ჩხეიძე (12).

აგრარული უნივერსიტეტი: იაქაშვილი (6), ბარამიძე (18), ალაშვილი (10), კირვალიძე (10), ბექანიშვილი (6), მახარაძე (15).

მსაჯები: ხ. მაღალაშვილი, რ. გელოვანი.

„მართვე“ — „მერანი“ 73:88 (42:43).

მართვე“: ბერძენიშვილი (27), ახალაძე (2), აბულაძე (2), ა. ქლენტი (12), ს. ქლენტი (20), ტეფნაძე (4), გიგაშვილი (2), ხოშტარია (4).

„მერანი“: ქორქია (7), დერიუგინი (22), ზ. ცაგარეიშვილი (27), თ. ცაგარეიშვილი (2), ჯაფარიძე (2), ქორფაშვილი (12), ბარბაქაძე (12), ბერიძე (4).

მსაჯები: რ. ხომერიკი, ხ. მაღალაშვილი.

„დინამო“ — აგრარული უნივერსიტეტი 140:60 (72:26).

„დინამო“: ვაშაკიძე (20), სანაძე (7), თორთლაძე (2), დაუშვილი (31), შენგელია (13), ფერიაშვილი (16), ბაქრაძე (9), ბარამიძე (24), ჩხეიძე (18).

აგრარული უნივერსიტეტი: ალაშვილი (21), მახარაძე (16), გორისელი (2), აბრამიძე (11), ბექანიშვილი (10).

მსაჯები: რ. ხომერიკი, ხ. მაღალაშვილი.

ცხოვრებაშიც, ჩემპიონატშიც...

ყველას უნახავს დეტექტიურ ფილმებში, როგორ ანიარაღებს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი დამნაშავეს ეფექტური ილეთებით. ცხოვრებაშიც ხშირად ხდება ასე, მაგრამ გარეშე თვალი ამას ნაკლებად ხედავს.

თბილისის ოლიმპიური რეზერვის ჭიდაობის სპორტსკოლის დარბაზში დეკემბერში გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩემპიონატი უიარაღოდ თავდაცვის ილეთების კომპლექსის დემონსტრაციასა და ჭიდაობა სამბოში, რომელთა ცოდნაც სავალდებულოა სამინისტროს ყველა თანამშრომლისთვის. ამგვარი ჩემპიონატი ჩვენთან, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ორი წელია არ ჩატარებულა და ახლა კვლავ ვიხილეთ სარბიელზე კანონის დამცველები. ასპარეზობის თავისებურება ის გახლდათ, რომ ორ ტურად მოეწყო — პირველ ტურში მოასპარეზენი უიარაღოდ თავდაცვის ილეთების დემონსტრირებაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, მეორეში კი სამბოში. გამარჯვებულიც ორივე ტურის შედეგების მიხედვით ვლინდებოდა.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს წარმომადგენლებმა. მეორე ადგილი შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო მილიციის სამმართველოს გუნდმა დაიკავა, მესამეზე მილიციის უმაღლესი სკოლის მსმენელები გავიდნენ. პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ: თემურ გიორგაძე (57 კგ), კობა ედიშერაშვილი (62, ორივე თბილისის შს სამმართველო), ტარიელ ჯავახიშვილი (68, საგარეჯო), არჩილ წიკლაური (74, სატრანსპორტო მილიციის სამმართველო), ზაზა ჩუბინიძე (81, მილიციის უმაღლესი სკოლა), მიხეილ ვეშაგური (90, თბილისის შს სამმართველო), დავით დავითაშვილი (100, სატრანსპორტო მილიციის სამმართველო), იოსებ ჯიჩოშვილი (მძიმე, თბილისის შს სამმართველო).



სურათზე: ასპარეზობის ერთ-ერთი მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

არ დააღალატეს...

ამას წინათ, შინ გამარჯვებული დაბრუნდა 1978 წელს დაბადებულ ფოთელ ყმაწვილ ფეხბურთელთა გუნდი „მობინადრე“ (მწვრთნელი ნუგზარ ლემონჯავა) ვინიცაში გამართული ტრადიციული ტურნირიდან.

ამ შეჯიბრებაში საქართველოდან ქობულეთის „მეგობრობაც“ გამოდიოდა. ქართველ სპორტსმენებთან ერთად იასპარეზეს მასპინძელთა ორმა გუნდმა, ტერნოპოლის „უკრაინამ“ და კალინოვკის „უროჟაიმ“. ტურნირი წრიული სისტემით მოეწყო. ფოთელებმა ხუთი თამაშიდან ხუთივე მოიგეს და პირველი ადგილი და მთავარი პრიზი მოიპოვეს. ინდივიდუალური პრიზი წილად ხვდა გია მუჯირს, რომელიც საუკეთესო თავდამსხმელად აღიარეს.

აღსანიშნავია, რომ ნორჩ ფეხბურთელებს სპონსორობა გაუწია საბინაო-საექსპლოატაციო კანტორამ (უფროსი ა. მეტაქსა). მალე ბიჭებს ახალი ტურნირი ელით ბელორუსიაში, კერძოდ, ქალაქ ორშაში. იმედია, სპონსორი კვლავ გაუწევს დახმარებას „მობინადრეს“, თავის მხრივ კი ფოთელი ჭაბუკები გამარჯვებებით გაახარებენ თავიანთ შეფებს.

ტრისტან ჰაწეა

სურათზე: ფოთის „მობინადრე“.

შეგირდებს ახსოვთ ოსტატი

საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გიორგი ასლანიდიმ ფრენბურთელთა მთელი პლეადა აღზარდა. საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის თაოსნობით, ახლახან, ყვარელში ჩატარდა გიორგი ასლანიდის ხსოვნისადმი მიძღვნილი ვეტერან ფრენბურთელთა ტურნირი. იასპარეზეს თბილისის, რუსთავის, ყვარლისა და სომხეთის გუნდებმა. პირველსავე შეხვედრაში მასპინძლებმა დედაქალაქელი ფრენბურთელები დაამარცხეს ანგარიშით 2:0, რუსთაველებმა კი სომხეთის გუნდს მოუგეს — 2:1. მეორე დღეს რუსთაველებს ყვარლელებმა დააყრევინეს ფარ-ხმალი— 2:1 და მთავარ პრიზს დაეუფლნენ. მესამე ადგილისთვის შეხვედრაში თბილისელებმა სომხეთის კოლექტივს აჯობეს — 2:0.

მხოლოდ გამარჯვებულნი

სპორტსაზოგადოება „მართვეს“ 1991 წლის რესპუბლიკური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 1977-1978 წლებში დაბადებულთა შორის. თბილისი.

37 კგ. ნიკო გოგოლაძე (ხაშური), 40. კახაბერ გადიშვილი (თელავი), 43. თემურ დიასამიძე (გარდაბანი), 47. როინ ვალიშვილი (მცხეთა), 51. დავით ხუციშვილი (გარდაბანი), 56. ლევან ბალდასარიანი (მცხეთა), 60. თედო ავლუმბელაშვილი (ხაშური), 65. ნუგზარ ქისიშვილი (თბილისი), 70. იოსებ მეხრიშვილი (თელავი), 75. ლევან მიქაძე, 81: შოთა მუზაშვილი (ორივე — თბილისი), 87. მამუკა ნათელაძე (ყვარელი), მძიმე: გიორგი რუხაძე (სამტრედია).

ლაგოდეხიდან კრასნოიარსკში—იმედით, შინ—მედლებით

ადრე ლაგოდეხელმა ძიუდოისტებმა იასპარეზეს კრასნოიარსკის ტურნირზე, სადაც მათი ორი წარმომადგენელი — გენადი და გია მუმლაძეები — მეორე პრიზიორები გახდნენ. ახლა კრასნოიარსკელებმა ეს შეჯიბრება საერთაშორისო ტურნირად „გადააკეთეს“: მოიწვიეს მონღოლეთის, ჩინეთის, იაპონიისა და სამხრეთ კორეის გუნდები. ლაგოდეხელები შვიდნი გაემგზავრნენ კრასნოიარსკში და სამმა მათგანმა საპრიზო ადგილი დაიკავა. ყველაზე უკეთ იჭიდავა გენადი მუმლაძემ (95 კგ), რომელმაც ხუთი შეხვედრიდან ხუთივეში წმინდად გაიმარჯვა და პირველ ადგილზე გავიდა. მესამე ადგილი „იკმარეს“ კობა თაყაძემ (86) და მძიმეწონოსანმა გია მუმლაძემ.

მაიკლ ჯორდანი — წლის საუკეთესო სპორტსმენი

„სპორტს ილუსტრეიტედის" საახალწლო ანკეტა, ტრადიციულად, ამერიკის შეერთებული შტატების საუკეთესო სპორტსმენს ავლენს და ამდენად, ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ გამოკითხვად ითვლება. ამერიკის საუკეთესო სპორტსმენის სახელი მეტწილად მოპოვებული აქვთ მოკრივეებს, მძლეოსნებს, კალათბურთელებს, ამერიკული ფეხბურთის ოსტატებს, მოცურავეებს — სპორტის ბარე ოცი სახეობის წარმომადგენლებს. მათ შორის არის ორი კალათბურთელიც: ბილ რასელი („ბოსტონ სელტიქსი") და ქარიმ აბდულ ჯაბარი („ლოს-ანჯელეს ლეიკერსი").

ამ დღეებში ნიუ-იორკიდან მოვიდა ცნობა, რომ აშშ-ს საუკეთესო სპორტსმენად 1991 წლის შედეგების მიხედვით „სპორტს ილუსტრეიტედის" საახალწლო გამოკითხვამ დაასახელა მესამე კალათბურთელი — „ჩიკაგო ბულსის" ლიდერი მაიკლ ჯორდანი.

გასული სეზონი ამ შესანიშნავი სპორტსმენისათვის მართლაც იღბლიანი გამოდგა. მისმა გუნდმა პირველად მოიგო ნბა-ს ჩემპიონის ტიტული, თვით ჯორდანი კი მეხუთედ გახდა პროფესიული კალათბურთის ყველაზე შედეგიანი სნაიპერი. გარდა ამისა 28 წლის ჯორდანი აღიარეს „ლიგის ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ", რომელმაც ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა სუპერფინალურ სერიაში „ლოს-ანჯელეს ლეიკერსთან" გამარჯვების დროს.

◆

ინფორმაცია

ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა ჟენევაში მოაწყო ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის წილისყრა.

მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: დანია — პოლონეთი, ჰოლანდია. — შვეცია, გერმანია — შოტლანდია, ჩეხეთ-სლოვაკეთი — იტალია.

ნახევარფინალში ითამაშებენ პირველ და მეოთხე, მეორე და მესამე წყვილებში გამარჯვებულნი. მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართება 31 მარტს, ნახევარფინალური — 30 აპრილს.

უეფა-ს თასის მეოთხედფინალში მეტოქეები ასე დაწყვილდნენ: „ტორინო" — (ტურინი) — „ბკ-1903" (კოპენჰაგენი), „სიგმა" (ოლომოუცი) — „რეალი" (მადრიდი), „აიაქსი" (ამსტერდამი) — „გენტი" (გენტი), „ლივერპული" (ლივერპული) — „ჯენოა" (ჯენოა).

მკითხველთა თხოვნით

ტურნირის ექო

ყველაზე ხანმოკლე რბოლა

„ალენ პროსტი „ფერარიდან" დაითხოვეს!" — ასეთი სენსაციური ცნობა გამოაქვეყნა ფრანგულმა „იუმანიტემ" „ფორმულა 1"-ში ავსტრალიის „გრან პრის" გათამაშებამდე სამი დღით ადრე.

ხმა დაირხა, თითქოს იტალიელთა გუნდს, რომელიც აშკარა კრიზისს განიცდის, რიკარდო პატრეზეს მიწვევა სურს, მაგრამ მან განაცხადა, რომ არავის არაფერი უთქვამს მისთვის. კანდიდატი კი ბევრია: სტეფანო მოდენა, ივან კაპელი, პიერლუიჯი მარტინი, მაიკლ ანდრეტი, მიხაელ შუმახერი, ტიერი ბუტსანი და ნელსონ პიკე.

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ალენ პროსტი, გამოუვალ მდგომარეობაშია. მან უარი უთხრა გი ლიჟიეს, ჟან ტოდტს, „პეჟო ტალბო სპორტის" მენეჯერს და, საბოლოოდ, შვეიცარიაში გაემგზავრა დასასვენებლად.

ავსტრალიაში, ადელაიდას სარბოლო ტრასაზე კი ემზადებოდნენ სეზონის საბოლოო ასპარეზობისთვის. საწვრთნელი რბოლები მესამოცედ მოიგო აირტონ სენამ (ბრაზილია, „მაკლარენ-ჰონდა"). სასტარტო ბილიკზე მის გვერდით დადგა თანაგუნდელი, ავსტრიელი გერჰარდ ბერგერი.

„რბოლა? რა რბოლა?" — ასეთი უხეში პასუხი გასცა აირტონ სენამ ჯეკი სტიუარტს, როცა სახელგანთქმული ავტომრბოლი მისგან იღებდა ინტერვიუს. მართალია, ბრაზილიელმა პილოტმა 33-ე „გრან პრი" მოიგო, მაგრამ მაინც უკმაყოფილო დარჩა შედეგით, რადგან შეჯიბრება აუტანელ პირობებში მიმდინარეობდა. ისევე, როგორც 1989 წელს, სპორტსმენებმა წვიმისგან დასველებულ ასფალტზე იასპარეზეს. ასეთ რთულ კლიმატურ პირობებში „ფორმულა 1" კლასის ავტომობილის მართვისას პილოტი ძალზე ყურადღებით უნდა იყოს, რათა გასწრებისას ან მოსახვევში შესვლისას ავარია არ მოხდეს.

სწორედ ამის ეშინოდა ბრაზილიელ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს, მაგრამ უარი ვერ თქვა, რადგან ავსტრალიის ეტაპზე ჯერ არ გაემარჯვა და 25 მეტოქესთან ერთად მოემზადა სტარტისთვის. მწვანე შუქზე აირტონ სენა წინ გაიჭრა. გერჰარდ ბერგერი ცდილობდა დასწეოდა თანაგუნდელს, მაგრამ მას გადაუსწრო ნაიჯელ მენსელმა, რომელსაც სეზონის წარმატებით დასრულება სურდა.

პირველი სერიოზული ავარია მოხდა მაშინ, როცა ჟან ალეზი და ნიკოლა ლარინი ერთ-ერთ „ბრებემს" უსწრებდნენ მარჯვენა მოსახვევში შესვლისას. „ფერარი" და „ლამბორგინი" ბარიერს შეეჯახნენ და პილოტები რბოლას გამოეთიშნენ. მიხაელ შუმახერმა, რომელსაც „ფიატის" პრეზიდენტმა ჯოვანი ანიელიმ ახალგაზრდებში ყველაზე ნიჭიერი პილოტი უწოდა, მესამე ადგილზე გადაინაცვლა და პირველად მიიღებდა პრიზს, მისი „ბენეტონ ფორდი" რომ არ მოსრიალებულიყო. გერმანელი პილოტიც ჩამოშორდა ასპარეზობას. სიტუაცია დაიძაბა. ავარიებმა იმატა და ტრასა მანქანების ნამსხვრევებით გაივსო. სენა და მენსელი რბოლას განაგრძობდნენ ისე, თითქოს მსოფლიო ჩემპიონის ვინაობა ჯერ კიდევ უცნობი ყოფილიყო. ტიერი ბუტსანმა და სატორუ ნაკაჯიმამ შეწყვიტეს ასპარეზობა, პიერლუიჯი მარტინის ნამსხვრევებად ექცა თავისი „მინარდი-ფერარი". ნაიჯელ მენსელმა პირველი და უკანასკნელი შეტევა განახორციელა ტრასის სწორ მონაკვეთზე, მაგრამ ნისლსა და კოკისპირულ წვიმაში ვერ შეამჩნია ერთ-ერთი ავტომობილის ელერონი, „უილიამს-რენო" მოსრიალდა და დიდი სიჩქარით შეეჯახა ბარიერს. აირტონ სენა ყველაფერს ხედავდა. მან ხელით ანიშნა მთავარ არბიტრს, რომ რბოლის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. მართლაც, გამოჰკიდეს წითელი ალამი, რაც შეჯიბრების დასასრულს ნიშნავდა. ლამის კისრამდე წყალში მყოფმა პილოტებმა, რომლებიც ავარიებს გადაურჩნენ, ავტომობილები ბოქსებში შეიყვანეს. ამ პერიოდში გასული იყო 16 წრე, ქულები კი 14 წრის შედეგების მიხედვით შეჯამდა. აირტონ სენა ნაიჯელ მენსელის, გერჰარდ ბერგერის, ნელსონ პიკეს და რიკარდო პატრეზეს წინ აღმოჩნდა. ჯანი მორბიდელის ერთადერთი რბოლა „ფერარის" ავტომობილით იმით დასრულდა, რომ მეექვსე ადგილისთვის მან მხოლოდ ნახევარი ქულა მიიღო. პილოტებმა დისტანციის 75%-ის გავლაც კი ვერ შეძლეს და ამიტომ ქულები ყველამ სანახევროდ მიიღო.

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა, აირტონ სენამ აღნიშნა, რომ მრბოლები არ უნდა გამოსულიყვნენ სტარტზე, მაგრამ მენეჯერისთვის უარის თქმა ნიშნავს გუნდში ადგილის დაკარგვას. სამწუხაროდ, მხოლოდ ალენ პროსტს ეყო გამბედაობა, არ გამოსულიყო შეჯიბრებაზე 1989 წელს, იმ მომენტში, როცა საპატიო კვარცხლბეკზე სამიდან მხოლოდ ორ ავტომრბოლს აჯილდოებდნენ (ტრავმა მიიღო მენსელმა), ალენ პროსტი საკუთარი თვითმფრინავით მიემგზავრებოდა ჟენევისკენ, რათა სასამართლოში ეჩივლა „ფერარის" ხელმძღვანელობისთვის.

წლევანდელი სეზონი კი დასრულდა იმით, რომ კონსტრუქტორთა პირველობა კვლავ „მაკლარენ-ჰონდამ" მოიგო. ახალი ჩემპიონატი დაიწყება წელს, 1 მარტს, სამხრეთ აფრიკის „გრან პრის" გათამაშებით „კიალამის" განახლებულ ავტოდრომზე. მანამდე გუნდები და პილოტები ახალი ავტომობილებს გამოცდიან.

ავსტრალიის „გრან პრი" (ტექნიკური შედეგები): 1. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენ ჰონდა") — 52,920 კმ. 24 წუთსა და 34,899 წამში; 2. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი, „უილიამს-რენო") — ჩამორჩა 1,259 წამით; 3. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „მაკლარენ-ჰონდა") — 5,120 წამით; 4. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ბენეტონ-ფორდი") — 30, 130 წამით; 5. რიკარდო პატრეზე (იტალია, „უილიამს-რენო") — 50,537 წამით; 6. ჯანი მორბიდელი (იტალია, „ფერარი") — ჩამორჩა 51,069 წამით.

პილოტთა საბოლოო კლასიფიკაცია: 1. აირტონ სენა — 96 ქულა; 2. ნაიჯელ მენსელი — 72; 3. რიკარდო პატრეზე — 53; 4. გერჰარდ ბერგერი — 43: 5. ალენ პროსტი — 34; 6. ნელსონ პიკე — 26,5; 7. ჟან ალეზი — 21; 8. სტეფანო მოდენა — 10; 9. ანდრეა დე ჩეზარისი — 9; 10. რობერტო მორენო — 8; 11. პიერლუიჯი მარტინი —6; 12-14. ირკი იარვილეჰტო, ბერტრან გაშო, მიხაელ შუმახერი — 4-4 ქულა; 15-17. სატორუ ნაკაჯიმა, მიკა ჰაკინენი, მარტინ ბრანდლი — 2-2; 18-23. ერიკ ბერნარი, აგური სუძუკი, ჯულიან ბეილი, ემანუელე პირო, ივან კაპელი, მარკ ბლანდელი — თითო ქულა; 24. ჯანი მორბიდელი — 0,5 ქულა.

კონსტრუქტორთა საბოლოო კლასიფიკაცია: 1. „მაკლარენ-ჰონდა" — 139; 2. „უილიამს-რენო" — 125; 3. „ფერარი" — 55,5; 4. „ბენეტონ-ფორდი" — 38,5; 5. „ჯორდან-ფორდი" — 13; 6. „ტაირელ-ჰონდა" — 12; 7. „მინარდი-ფერარი" — 6; 8. „დალარა-ჯადი" — 5; 9-10. „ლოტუს-ჯადი", „ბრებემ-იამაჰა" — 3-3; 11. „ლოლა-ფორდი" — 2: 12. „ლეიტონ ჰაუს-ილმორი" — 1 ქულა.

ჩემპიონატებში გამარჯვებათა რაოდენობით „მაკლარენი" დაეწია „ფერარის". ინგლისელთა გუნდი მსოფლიოს 9-გზის ჩემპიონია პილოტთა შორის (1974 ემერსონ ფიტიპალდი; 1976 — ჯეიმს ჰანტი; 1984 — ნიკი ლაუდა; 1985, 1986, 1989 — ალენ პროსტი; 1988, 1990, 1991 — აირტონ სენა) და 7-გზის — კონსტრუქტორთა შორის (1974, 1984, 1985, 1988, 1989, 1990, 1991).

დავით ჩუბინიძე

აირტონ სენა

ტელეფონი — მკითხველი

● **მძიმე** წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიო ექსჩემპიონს მაიკ ტაისონს, რომელსაც ბრალად ედება რამდენიმე ქალის მიმართ ძალადობა, სასამართლო პროცესის მოგების შანსი გაუჩნდა. საქმე ისაა, რომ ერთ-ერთი მისი „მსხვერპლის", 18 წლის როზი ჯონსის დამცველმა მორის ანდერსონმა (იგი ამ სასამართლო პროცესის ინიციატორია) აღიარა, რომ ბრალდებანი მოკრივეს ქალებმა თვითრეკლამის მიზნით წაუყენეს.

● **კალათბურთელ** ვაჟთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატის „ა", ჯგუფში, სადაც ტალინის „კალევიც" გამოდის, ცხრა ტურის მერე 14 ქულით დაწინაურდა ზაგრების „ციბონა". ამდენივე ქულა აქვთ ესპანეთის „ბარსელონას" და თელ-ავივის „მაკაბის", მაგრამ ზაგრებელები წინ არიან ბურთების უკეთესი სხვაობით. — რაც შეეხება „კალევს" იგი 9 ქულით ბოლოსწინა, მეშვიდე ადგილზეა.

● **ალბერვილის** ზამთრის ოლიმპიადის წინ, ბიატლონისტთა მსოფლიო თასის გათამაშების ერთ-ერთ ეტაპზე, რომელიც ავსტრიის ქალაქ ხოხფილცენში გაიმართა, ქალთა რბოლა 15-კილომეტრზე მოიგო ნორვეგიელმა ანა ელვებაკმა — 58.56,9. მან მხოლოდ ერთი ტყვია ააცილა სამიზნეს. ვაჟთა შორის 20 კილომეტრზე იმარჯვა გერმანელმა იენს შტაინინგმა — 1:03.02,4. მასაც ერთი გასროლა გაუცუდდა.

მძლეოსნური მოზაიკა

ბრუნდება...

ინგლისელმა ათჭიდელმა დეილი ტომპსონმა ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე გაიმარჯვა მსოფლიო რეკორდით — 8847 ქულა. მაშინ იგი 25 წლისა იყო და ზედიზედ მეორედ დაიმსახურა ოლიმპიური ოქროს მედალი (მანამდე გაიმარჯვა მოსკოვის თამაშებში). მსოფლიოს 1983 და ევროპის 1986 წლების ჩემპიონმა სეულის ოლიმპიადაშიც სცადა ბედი, მაგრამ იქ იგი მხოლოდ მეოთხე გახლდათ. მას არც შემდგომში გამოუჩენია თავი რაიმე წარმატებით. მარცხენა მუხლმა შეაწუხა და ოპერაცია გახდა საჭირო. გამოჯანმრთელების მერე მტკიცედ გადაწყვიტა, დაბრუნებოდა სარბიელს — ტოკიოს მესამე მსოფლიო ჩემპიონატისთვის ინტენსიურ მზადებას შეუდგა. როგორც ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ფ. დიკი ამტკიცებდა, მიუახლოვდა კიდევაც 86 წელს მიღწეულ პირად მაჩვენებლებს.

ტოკიოში ტომპსონი არ წასულა. — მირჩევნია ბარსელონის ოლიმპიადისთვის შემოვინახო ძალები — განაცხადა და ახლა დიდი მონდომებით ემზადება წლევანდელი სტარტებისათვის.

თუ ასე მოხდა...

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობის განცხადებამ, გააუქმოს აპარტეიდი, ამ ქვეყნის სპორტსმენებს ბარსელონის თამაშებში გამოსვლის რეალური შანსები გაუჩინა. წარმატების იმედი განსაკუთრებით მძლეოსნებს აქვთ. ევროპისა და ამერიკის სპრინტერი ქალები სწორედ მათგან, კერძოდ კი, ზოლა ბადის მხრიდან უნდა ელოდნენ მძაფრ კონკურენციას.

პანიკაშია...

ექიმ კლიმენტ ოლივიეს ერთ-ერთი პაციენტი ქალის განცხადება (რომელიც ამ დღეებში შიდსით გარდაიცვალა) ჰოკეისტთა ეროვნულ ლიგაში მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. ავადმყოფმა სიკვდილის წინ განაცხადა, რომ სხვადასხვა დროს ინტიმურ ურთიერთობაში იმყოფებოდა სულ ცოტა ორმოცდაათ ჰოკეისტთან.

ოლივიემ მწუხარებით აღნიშნა, რომ განსაკუთრებით საშიშ მდგომარეობაში იმყოფებიან პოპულარული სპორტსმენები. მისი აზრით ნჰლ-მ, ისევე როგორც ნბა-მ, ამიერიდან კონტრაქტის პირობებში ერთ-ერთ მუხლად უსათუოდ უნდა შეიტანოს ტესტირება შიდსზე. გარდა ამისა, შემდგომ პროფილაქტიკის მიზნით დაუყოვნებლივ უნდა შემოწმდეს ორივე ლიგის ყველა სპორტსმენი.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

ქაღალდის დეფიციტის გამო „ლელო" დროებით გამოდის კვირაში სამჯერ — სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

„ლელოს" რედაქცია განუხრელად ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის პრესის კანონით.
„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ო. გელაშვილი, კორექტორები: მ. ძეძამიძე, ქ. ქავთარაძე

ჩვენი მისამართი:
წერილებისათვის — 380096
თბილისი, ვ. კოსტავას, 14.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 99-97-27

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხების გაცემის საშუალება არ გვაქვს. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა. 380096, თბილისი, ვ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, [illegible], 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20.